



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ ვ ა მ ტ კ ი ტ ე ბ ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

გიორგი კიკელიშვილი

19 05

„-----“ 2016 წელი

გვ. N1

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N31/36

2012, 2013 და 2014 საანგარიშო წლებისთვის

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	4
აუდიტის მიზანი და მასშტაბი	5
1. კომპანიის ზოგადი აღწერილობა	7
2. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები.....	7
3. საქონლისა და მომსახურების შესყიდვები.....	13
4. შემოსავლები.....	16
5. ხარჯები	18
6. უსასყიდლო უზუფრუქტი	20
7. წლიური შედეგების გამოყენება და ანგარიშგება.....	21

შემაჯამებელი მიმოხილვა

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ სახელშეკრულებო ღირებულებები მნიშვნელოვნად ნაკლები იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებებზე. ტენდერების საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, სავარაუდო ღირებულებასა და თავდაპირველ სახელშეკრულებო ღირებულებას შორის სხვაობამ 2013-2014 წლებში შეადგინა 14,526,805 ლარი.

რიგ შემთხვევებში კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად ცხადდებოდნენ ისეთი პრეტენდენტები, რომელთა სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაზიფიცირების სამუშაოებზე ტენდერები ცხადდებოდა ისეთი პროექტების განსახორციელებლად, რომელთა ნაწილიც სხვა კომპანიის მიერ უკვე შესრულებული იყო.

გაზსადენის მიწების პირაპირების ულტრაბერითი გამოკვლევის ოქმების ნაწილის ავთენტურობა არ დადასტურდა, ხოლო ოქმების ნაწილი წარმოდგენილი ვერ იქნა.

ავტომაქსის ჩანაცვლება განხორციელებულია ფასთა ისეთი თანაფარდობით, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენდა ფასთა კოტირებისათვის თავის არიდებას, რაც არ ემსახურება ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

2012-2013 წლებში გაზსადენის სისტემაში ადგილი ჰქონდა ჭარბი გაზის არსებობას. განმარტების თანახმად, ეს არის გაზის ის მოცულობა რომლის აღრიცხვაც ვერ შეძლეს ვერც კომერციულმა და ვერც საკონტროლო მრიცხველებმა. ჭარბი გაზის არსებობა დასტურდება მხოლოდ მიღებული და ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის ბალანსში, სადაც ჭარბი გაზი წარმოადგენს დისბალანსს მიღებულ და გადაცემულ გაზს შორის და შეუძლებელია იმის განსაზღვრა თუ კონკრეტულად რომელი აღრიცხვის კვანძის ცდომილების ხარჯზე გაჩნდა იგი. შექმნილი მდგომარეობა ზრდის კომპანიის მიერ ფაქტობრივად მიღებული გაზის მიღება-ჩაბარების აქტებში არასწორი ოდენობით დაფიქსირების რისკს.

გაწეული საწვავის ხარჯების შესწავლისას გამოვლინდა რიგი შეუსაბამოებებისა, რაც გამოიხატებოდა ცალკეული მარშრუტების სიგრძის არასწორად მითითებაში.

ქ. თბილისსა და რეგიონებში მშენებარე იუსტიციის სახლების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ მიღებული ფართიდან არასაცხოვრებელი ფართებისა და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში კომპანიისათვის გადაცემის პირობით, კომპანიამ მთავრობის განკარგულებების საფუძველზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრს საერთო ჯამში გადაურიცხა 6,809,135 ლარი. მოგვიანებით ზემოხსენებულ უსასყიდლო უზურფრუქტთან დაკავშირებული ხელშეკრულებები გაუქმდა, ხოლო მათ საფუძველზე გადარიცხული თანხები კომპანიას არ დაბრუნებია.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1 - შესყიდვების ეკონომიურად განხორციელების მიზნით, ბაზრის კვლევისას, პოტენციურ მიმწოდებლებთან ურთიერთობა, სასურველია წარიმართოს ბაზრის კვლევის სხვა მეთოდის პარალელურად, ვინაიდან მიწოდების ბაზრის სრული სურათი იქნეს დანახული.

რეკომენდაცია N2 - შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში“ შეიქმნას სათანადო კვალიფიკაციის მქონე წევრებით დაკომპლექტებული ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განახორციელოს სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირება, რათა ინსპექტირებით რეალურად დადგინდეს შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

რეკომენდაცია N3 - შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში“ თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალურ წესში ცვლილების შეტანა, რომელიც დაადგენს „ტენდერი არ შედგა“ სტატუსის ტენდერისათვის მინიჭების პირობებს, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების კომისიური წესით მიღებას და გამჭვირვალობას ტენდერისათვის სტატუსის მინიჭებისას.

რეკომენდაცია N4 - შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ავტომატურად აღიჭურვის GPS სისტემით, რათა დადასტურდეს გაზის სინჯების აღება ყველა განსაზღვრული ადგილიდან, რაც თავის მხრივ აისახება გაზის სიმკვრივის გაანგარიშებასა და აქედან გამომდინარე მიღებული გაზის მოცულობის მაჩვენებლების სისწორეზე. კომპანიისგან 2016 წლის 26 იანვარს მიღებული განმარტებით, დაწყებულია სატრანსპორტო პარკის GPS სისტემით აღჭურვა.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ (შემდგომში კომპანია) 2012, 2013 და 2014 წლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: შესყიდვები, კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებული საქმიანობა, შრომის ანაზღაურების ხარჯები, მივლინების ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და შენახვის ხარჯები, სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები.

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
- საქართველოს კანონი „ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ N114 ბრძანებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები“
- საქართველოს მთავრობის N372 და N228 6.09.2013 დადგენილებები შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიისათვის საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“
- საქართველოს მთავრობის განკარგულებები კომპანიისთვის სახსრების გამოყოფისა და ქონების გადაცემის შესახებ
- საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/1732 ბრძანება „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/1463 ბრძანება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“
- საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 21 მარტის N92 ბრძანებით დამტკიცებული შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის წესდება
- შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დებულება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც გამორიცხავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4100).

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნის გამოსატანად.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

1. კომპანიის ზოგადი აღწერილობა

შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ (შემდგომში - კომპანია) დაარსდა 1999 წლის 30 დეკემბერს. რეგისტრირებულია ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის ადგილია ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21. კომპანიის ერთადერთ პარტნიორს წარმოადგენს სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, გარდა ლიკვიდაციისა და გაკოტრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, წილის დაგირავების ან სხვაგვარად დატვირთვის უფლებამოსილებისა (რაც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციას).

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, მათ შორის ტრანზიტის უზრუნველყოფა. იგი მართავს მაგისტრალურ გაზსადენ სისტემას, რომელსაც ფლობს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში - კორპორაცია). კომპანია მაგისტრალური გაზსადენების ექსპლუატაციას ახორციელებს საგურამოს, ქვეშეთისა და თერჯოლის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალებისა და ყაზბეგისა და გურჯაანის სახაზო - საექსპლუატაციო სამსახურების მეშვეობით.

კომპანია ახორციელებს ბუნებრივი გაზის გამწმენდი და ოდორიზირების დანადგარების, საკომპრესორო და გაზის გამანაწილებელი სადგურების, გაზის აღრიცხვის კვანძების, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და ჩამკეტი არმატურის, კავშირგაბმულობის საშუალებების, შენობა-ნაგებობებისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული სხვა მოწყობილობა-დანადგარების მოვლა-პატრონობას და გაუმჯობესებას.

2012 წელს კომპანიამ 40% (2,000,000 ლარი) წილობრივი მონაწილეობით, აზერბაიჯანულ კომპანია „ინტერ გლასთან“ ერთად, მინის ტარის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობის განსახორციელებლად დააფუძნა შპს „ინტერ გლასს - საქართველო“. დაფუძნებული საწარმოს კაპიტალში კომპანიის ფაქტობრივი შენატანები შეადგენს 800,000 ლარს ფულადი და 559,037 ლარს უძრავი ქონების სახით. 2012 წელს კომპანიის მიერ ასევე დაფუძნებული იყო შპს „ქართული კურდღელი“ 100% წილობრივი მონაწილეობით (300,000 ლარი ფულადი და 90,577 ლარის ქონებრივი შენატანი). აღნიშნული წილი 2013 წელს უსასყიდლო საკუთრებაში გადაეცა „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“.

2. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები

შესყიდვების განხორციელებისას კომპანია ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობის დადგენილებებით¹ დამტკიცებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესით, რომლითაც შესყიდვის საშუალებებად განისაზღვრა გამარტივებული შესყიდვა, ფასთა კოტირება და ტენდერი. ამავე დადგენილებების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას კომპანია ახორციელებდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ სახელშეკრულებო ღირებულებები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებებს. კომპანია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას განსაზღვრავდა პოტენციური პრეტენდენტებისგან მიღებული ხარჯთაღრიცხვების გათვალისწინებით, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების სწორად დადგენას, გამომდინარე იქიდან, რომ ყოველ პოტენციურ მიმწოდებელს გააჩნია კერძო ეკონომიკური ინტერესები, მხოლოდ მათგან მიღებული ინფორმაცია შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დასადგენად საკმარისი არ არის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2013-2014 წლების შესყიდვების შესახებ ინფორმაცია, რომელშიც ნათლად ჩანს მაღალი კონკურენციის პირობებში შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით როგორ მცირდებოდა სახელშეკრულებო ღირებულება.

¹ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 სექტემბრის N372 დადგენილება შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისთვის“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 6 სექტემბრის N228 დადგენილება შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისთვის“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ.

პრეტენდენტთა რაოდენობა	1	2	3	4	5	>5
სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის საშუალო პროცენტული სხვაობა	9%	12%	25%	26%	30%	40%

ტენდერების საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, სავარაუდო ღირებულებასა და თავდაპირველ სახელშეკრულებო ღირებულებას შორის სხვაობამ 2013 წელს შეადგინა 2,220,532 ლარი, ხოლო 2014 წელს - 12,306,273 ლარი.

რეკომენდაცია N1 შესყიდვების ეკონომიურად განხორციელების მიზნით, ბაზრის კვლევისას, პოტენციურ მიმწოდებლებთან ურთიერთობა, სასურველია წარიმართოს ბაზრის კვლევის სხვა მეთოდის პარალელურად, ვინაიდან მიწოდების ბაზრის სრული სურათი იქნეს დანახული.

შესყიდვები ელექტრონული ტენდერის საშუალებით

რიგ შემთხვევებში კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად ცხადდებოდნენ ისეთი პრეტენდენტები, რომელთა სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს, კერძოდ:

- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების (აფენი, გიორგეთი, ქვემო ნაშოვარა) გაზომომარაგების მიზნით 2013 წლის აგვისტოში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130018780) უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის (შპს „ექსპრესსერვის 2008“) მიერ ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ მოიცავდა პროექტით გათვალისწინებულ პირაპირების გაშუქების სამუშაოებს, ასევე ინფორმაციას გამოსაყენებელი მასალების (ფოლადის მილები) შესახებ. პრეტენდენტი გამარჯვებულად გამოცხადდა დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნის გარეშე (ხელშეკრულების ღირებულება 762,168 ლარი).

- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების (დვანი, ტახტისძირი) გაზიფიცირების სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2013 წლის აგვისტოში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130018787) ერთადერთი მონაწილის შპს „გაზტექმშენის“ მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ მოიცავდა პოლიეთილენის მილების პროექტით გათვალისწინებულ მონტაჟსა და გამოცდას. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტი გამარჯვებულად გამოაცხადა ისე, რომ არ მოუთხოვია დოკუმენტაციის დაზუსტება (ხელშეკრულების ღირებულება 434,416 ლარი).

- სოფელ მაწიმში შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობის დამატებითი სამუშაოების შესრულების მიზნით, 2013 წლის სექტემბერში გამოცხადებულ ტენდერში (SPA130021177) მონაწილე უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს შპს „კალასს“ არ ჰქონდა წარდგენილი სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაცია გარანტიის შესახებ. პრეტენდენტი გამარჯვებულად გამოცხადდა დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნის გარეშე (ხელშეკრულების ღირებულება 45,414 ლარი).

- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების (დოღეთი, თამარაშენი) გაზიფიცირების სამუშაოებზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში (SPA130018788, SPA130021181) გამარჯვებულ ერთადერთ პრეტენდენტს (ი.მ. „გიორგი ჩიხლაძე მშენებელი“) ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ნაცვლად წარმოდგენილი ჰქონდა იურიდიული პირის მიერ წარსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემები (ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება 382,226 ლარი).

ანალოგიურ ფაქტებს ჰქონდა ადგილი 2014 წლის ივლისში გორის მუნიციპალიტეტის სოფლების მეჯვრისხევისა (SPA140017881) და დიცის (SPA140017883) გაზიფიცირებაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებშიც, რომლებშიც გამარჯვებულად შესაბამისად გამოცხადდნენ: უმცირესი ფასის მქონე ი.მ. „გიორგი მჭედლიშვილი“ (ხელშეკრულების ღირებულება 379,366 ლარი) და ი. მ. „გიორგი ჩიხლაძე მშენებელი“ (ხელშეკრულების ღირებულება 285,099 ლარი). სატენდერო კომისიას ზემოაღნიშნულ ოთხივე შემთხვევაში უნდა მოეხდინა პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია².

² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი

უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ დიცის გაზიფიცირების ზემოხსენებულ ტენდერში უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა ძირითადი მასალების შესახებ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შეფასებისას არაერთგვაროვან მიდგომაზე.

- დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანანურის და ორი დასახლების (სახსტანდარტების დასახლება და ვარდების მებაღეობის დასახლება) გაზომარაგების სამუშაოებზე 2013 წლის სექტემბერში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130021297) უმცირესი ფასი დააფიქსირა შპს „შუქურამ“. სატენდერო კომისიამ მოითხოვა დოკუმენტაციის დაზუსტება გამოსაყენებელი მასალებისა და გარანტიის შესახებ, რაც შპს „შუქურამ“ არასრულყოფილად შეასრულა. ამასთან, ხარჯთაღრიცხვაში სატენდერო წინადადების ფასი განაწილებული ჰქონდა მხოლოდ ზემოხსენებული ორი დასახლების სამუშაოებზე და არ ითვალისწინებდა სოფელ ანანურში განსახორციელებელ უფრო დიდი მოცულობის სამუშაოებს. ასევე, სატენდერო დოკუმენტაციაში გამორჩენილი იყო ანანურის ნაწილში რეგულატორების მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოებიც. პრეტენდენტი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას³, მაგრამ გამოცხადდა გამარჯვებულად (სახელშეკრულებო ღირებულება 496,000 ლარი). აღსანიშნავია, რომ შპს „შუქურამ“ ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება და ორმხრივი შეთანხმებით ხელშეკრულება შეწყდა. ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ფორმა N2-ში შესრულებულად დაფიქსირებულ სამუშაოებზე აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოს აქტები.

- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების (ჭალოვანი, ხვანი, ლიჩი) სრული გაზიფიცირების სამუშაოებზე 2013 წლის ნოემბერში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130025397) გამარჯვებული უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტისთვის (შპს „ენერჯი ინვესტი 2009“) არ იქნა მოთხოვნილი ინფორმაციის დაზუსტება სამუშაოს შესასრულებლად გამოსაყენებელი ძირითადი მასალებისა და გარანტიის შესახებ⁴ (ხელშეკრულების ღირებულება 962,499 ლარი).

- გორის მუნიციპალიტეტის სოფლების (ქვეში, ქვემო არცევი) გაზიფიცირების მიზნით 2014 წლის ივლისში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA140017120) უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის შპს „სამშენებლო ტრესტი N3“-ის მიერ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში სატრანსპორტო ხარჯები გათვალისწინებული იყო პროცენტული ოდენობით მთლიანი სამუშაოების ღირებულებიდან, რაც არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის დანართს, რომელიც შედგენილი იყო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით⁵ განსაზღვრული მოთხოვნებით. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტი გამარჯვებულად გამოაცხადა ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების მოთხოვნის გარეშე (ხელშეკრულების ღირებულება 618,843 ლარი).

- გორის მუნიციპალიტეტის სოფლების ციცაგიანთკარის და ახრისის გაზიფიცირების მიზნით, სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად 2014 წლის 10 ივლისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA140017121) უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის შპს „კონსტრუქცია XXI“-ის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება ეხებოდა არა ციცაგიანთკარისა და ახრისის, არამედ სხვა სოფლების (აძვი, ჯარიაშენი, მუმლაანთკარი) გაზიფიცირების სამუშაოებს. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა, როგორც პოზიციების რაოდენობით, ისე თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრული მოცულობებით არ ემთხვეოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულს. მიუხედავად ასეთი არსებითი შეუსაბამოებისა, სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს მიმართა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა, რადგან დაზუსტება ამ შემთხვევაში იწვევდა ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას⁶. ზემოხსენებულიდან გამომდინარე პრეტენდენტი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას, სატენდერო კომისიამ კი იგი გამარჯვებულად გამოაცხადა (ხელშეკრულების ღირებულება 380,000 ლარი).

³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი

⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანების 13-ე მუხლის 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი

⁵ 2012 წლის 12 ივლისის N 1-1/1463 ბრძანება

⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი.

- გორის მუნიციპალიტეტის სოფლების (ქვემო ხვითი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ქვემო ხვითი) გაზიფიცირებაზე 2014 წლის ივლისში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში უმცირესი შეთავაზების მქონე პრეტენდენტებს (შპს „STS GROUP“- SPA140017882, შპს „ბაკა“- SPA140017884) სრულყოფილად წარმოდგენილი არ ჰქონდათ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაცია სამუშაოთა შესასრულებლად გამოსაყენებელი ყველა ძირითადი მასალის შესახებ. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნის გარეშე გამოაცხადა გამარჯვებულად (ხელშეკრულებების ღირებულება შესაბამისად 193,411 და 511,200 ლარი).

- 2013 წელს მთავრობის განკარგულებების⁷ საფუძველზე კომპანიას დაევალა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაზიფიცირების სამუშაოების განხორციელება. აღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერებში გამოყენებული იქნა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ დაკვეთით შედგენილი სამშენებლო პროექტები. კომპანიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, თავდაპირველად აღნიშნული რეგიონების გაზიფიცირება უნდა მოეხდინა „სოკარ ჯორჯია გაზს“, შესაბამისი პროექტებიც მისი დაკვეთით იქნა შედგენილი და სამუშაოებიც უკვე დაწყებული ჰქონდა. თუმცა შემდგომ მოხდა პროექტების განსახორციელებლად კომპანიისათვის გადმოცემა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტენდერები ცხადდებოდა ისეთი პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც აღარ შეესაბამებოდნენ ფაქტობრივ მდგომარეობას, რადგან სამუშაოთა ნაწილი უკვე განხორციელებული იყო. ამას ადასტურებს კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებებიც. აღნიშნული მიზეზით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწიმის გაზიფიცირების ხელშეკრულებების (SPA130018790 და SPA130021177) ღირებულება საერთო ჯამში შემცირდა 184,902 ლარით (49,5%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშემსრულებლო დოკუმენტაციის ნაწილი ხელმოწერილია მხოლოდ მიმწოდებლების მიერ (შესრულებული სამუშაოების ყოველდღიური ანგარიშები - შპს „კალასი“, ფარული სამუშაოების და გაზსადენის გამოცდის აქტები - შპს „გაზტექმშენი“).

„სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ გადმოცემული პროექტების და ფაქტობრივად არსებული გარემოებების სათანადო შესწავლის გარეშე შესყიდვების განხორციელება ქმნიდა იმის რისკს, რომ კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულ კონტრაქტორებს უკვე შესრულებული სამუშაოები ეჩვენებინათ მათ მიერ განხორციელებულად და მოეთხოვათ მათი ანაზღაურება.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ 2012-2014 წლებში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დროს ხშირი იყო შემთხვევები, როცა ხარჯთაღრიცხვებში სხვადასხვა მიზეზით იცვლებოდა შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობები. აღნიშნული ცვლილებები სამშენებლო საქმიანობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁸ საჭიროებდა მშენებლობის პროექტების ავტორებთან შეთანხმებას, რაც უმეტეს შემთხვევაში არ ხდებოდა.

2.1 შესყიდვები გამარტივებული წესით

2012 წელს მთავრობის განკარგულებით⁹ კომპანიას დაევალა რამდენიმე მუნიციპალიტეტში შემაჯალი სოფლების გაზიფიცირება და უფლება მიეცა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კომპანიის მიერ ეს უფლება გამოყენებული იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირებისათვის სამუშაოების შესყიდვისას.

შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ არცერთ გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობა წერილობით არ დაუდასტურებია¹⁰. ასევე, კომპანია ვალდებული იყო სამუშაოების ღირებულება აენაზღაურებინა მიმწოდებლის მიერ გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით¹¹, რაც არ განუხორციელებია და სამუშაოების ღირებულების

⁷ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 აგვისტოს N1067 და 5 სექტემბრის N1198 განკარგულებები

⁸ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 64 -ე მუხლის მე-2 პუნქტი

⁹ 2012 წლის 12 აპრილის N684 განკარგულება

¹⁰ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლი

¹¹ 2012 წლის 12 ივლისის N 1-1/1463 ბრძანება

ანაზღაურება მოხდა შესრულებული სამუშაოს აქტების საფუძველზე (აღნიშნული შესყიდვებისას გაწეულმა საკასო ხარჯებმა ჯამურად შეადგინა 304,502 ლარი).

აღნიშნულ შესყიდვებთან დაკავშირებით ასევე გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- სოფელ ხცისის გაზიფიცირების სამუშაოებზე ხელშეკრულება გაფორმდა სს „ჰიდროსაინჟინრო კომპანიასთან“. მიღებული სიტყვიერი განმარტების თანახმად, იმის გამო, რომ მიმწოდებელი ვერ ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, ხელშეკრულება შეწყდა, თუმცა ხელშეკრულების შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი წარმოდგენილი ვერ იქნა. სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალები მიმწოდებელს მიღებული ჰქონდა შემსყიდველისგან. იმის გამო, რომ შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მხოლოდ ნაწილი, შემსრულებელს კომპანიისათვის უნდა დაებრუნებინა მისთვის გადაცემული გამოუყენებელი მასალები, რაც დოკუმენტურად არ დასტურდება. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კომპანია ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მიემართა შესყიდვების სააგენტოსთვის და ეცნობებინა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შესაბამისი მიზეზების მითითებით¹², რაც არ მომხდარა.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების სამუშაოებზე არ შედგენილა ფარული სამუშაოების აქტები¹³. (ხელშეკრულების ღირებულება-273,333 ლარი, კონტრაქტორი - სს „იტერა საქართველო“).

სამუშაოთა ინსპექტირება

კომპანიის მიერ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებში განსაზღვრულია ინსპექტირების პირობები, რომლის მიხედვით შემსყიდველი ვალდებულია სამუშაოების მიმდინარეობისას ჩაატაროს ინსპექტირება სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ზოგიერთ შემთხვევაში ინსპექტირების პროცესი განხორციელებულია არასათანადოდ, რაზეც მეტყველებს შპს „კომფორტშენ XXI“-სთან დაკავშირებული შემთხვევები:

- მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს სოფლების სრული გაზიფიცირების სამუშაოების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, გაზსადენის მშენებლობისათვის საჭირო მიწები სამუშაოების შემსრულებელს გადასცა კომპანიამ. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელმა შესრულებული სამუშაოების აქტებში ასანაზღაურებლად დააფიქსირა აღნიშნული მიწების საწარმოო დანაკარგები ჯამში 7,729 ლარის ოდენობით (არასწორად ანაზღაურებული თანხის დაბრუნება მოხდა სამუშაოების დასრულებიდან 4 თვის შემდეგ).
- ამბროლაური-სორის გაზსადენის მშენებლობაზე გაფორმებული ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა N2) მიხედვით გაზსადენის მშენებლობისას მოეწყო 15,271 მეტრი სიგრძის ტრანშეა. სამუშაოების მიმდინარეობისას შედგენილი ტრანშეის მოწყობის ორმხრივად ხელმოწერილი ყოველდღიური ანგარიშებიდან გამომდინარე კი ტრანშეის სიგრძე შეადგენს 13,886 მეტრს, რაც 1,385 მეტრით ნაკლებია ფორმა N2-ში დაფიქსირებულზე.

ორივე შემთხვევაში სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას წინ უძღოდა ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნები.

უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირებას ახორციელებდნენ პირები რომლებსაც კომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანებით¹⁴ დავალებული ჰქონდათ მხოლოდ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების ინსპექტირება.

¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების 24-ე მუხლი

¹³ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება, მუხლი 61

¹⁴ კომპანიის გენერალური დირექტორის 2008 წლის 25 ნოემბრის N209 ბრძანება

რეკომენდაცია N2

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში“ შეიქმნას სათანადო კვალიფიკაციის მქონე წევრებით დაკომპლექტებული ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განახორციელოს სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირება, რათა ინსპექტირებით რეალურად დადგინდეს შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

შეუსაბამოები პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში

ამბროლაური-სორის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამოები:

- პროექტის სამუშაოების მოცულობების დანართის თანახმად, პროექტის განსახორციელებლად განსაზღვრული იყო სხვადასხვა სახის 99 ქარხნული მუხლის მონტაჟი, ხოლო მასალების სპეციფიკაციების დანართში - 111 ერთეული.

- მიწის სამუშაოების განზომილების ერთეულები პროექტში წარმოდგენილია კუბურ მეტრებში, ხოლო მიმწოდებელთან (შპს „კომფორტმშენ XXI“) გაფორმებული ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში - გრძივ მეტრებში.

- პროექტის მასალების სპეციფიკაციის დანართის მიხედვით მშენებლობისთვის საჭირო იყო 6 ერთეულ 90 გრადუსიანი არაიზოლირებული მუხლი, მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით კი აღნიშნული მუხლები მიმწოდებელზე გადაცემულად და შემდგომში გამოყენებულად ნაჩვენებია 68 ერთეულის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძირითადი მასალები შემსრულებელს გადაეცა კომპანიის მიერ.

კახათი-ანაკლიის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამოები:

- მშენებლობის პროექტის (შემსრულებელი შპს „კომფორტმშენ XXI“) სამუშაოების მოცულობების დანართით გათვალისწინებული იყო 27 ქარხნული მუხლი, ხოლო მასალების სპეციფიკაციების დანართით - 32. ხელშეკრულების დანართის და მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით კი სამუშაოების შემსრულებელს აღნიშნული მუხლები გადაეცა და დამონტაჟდა 37 ცალის ოდენობით;

- პროექტით გათვალისწინებული იყო გაზსადენის მიღებისათვის საყრდენი ბალიშების მოწყობა როგორც ქვიშით, ასევე ადგილობრივი გრუნტით. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ქვიშით ბალიშების მოწყობა გათვალისწინებული არ იქნა და საყრდენები მოეწყო მთლიანად ადგილობრივი გრუნტით. აღსანიშნავია, რომ პროექტი ამ შემთხვევაშიც შესრულებულია უშუალოდ კომპანიის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ კომპანიის მიერ პროექტების შედგენა და პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების შესაბამის ხელშეკრულებებში ასახვა ყოველთვის სათანადოდ არ ხორციელდებოდა.

შეუსაბამოები გაზსადენების გამოცდისას

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით¹⁵ განსაზღვრულია გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც ერთდროულად გამოსაცდელი გაზსადენის სიგრძე 200 მმ-მდე ჩათვლით დიამეტრის გაზსადენების შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 6 კმ-ს. აუდიტით გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში გაზსადენების იმ მონაკვეთების სიგრძე, რომლებზეც განხორციელებულია გამოცდა, მნიშვნელოვნად აღემატებოდა ნორმატიული აქტით დადგენილ მოთხოვნებს. მაგალითად, კახათი - ანაკლიას გაზსადენზე გამოცდა განხორციელდა 17.6 კმ-ის, საჩხერის მუნიციპალიტეტის ჭალოვანის თემის სოფლებში - 37.2 კმ-ის, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდაში - 13.1 კმ-ის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში - 22.1კმ სიგრძის გაზსადენზე.

¹⁵ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის N 1-1/525 ბრძანება

გამოცდის დროს გამოსაცდელი გაზსადენის მონაკვეთის სიგრძის გადაჭარბება საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹⁶ მიჩნეულია I ხარისხის არსებით შეუსაბამობად.

პირაპირების გაშუქებაზე გაწეული ხარჯები

2013 წელს შპს „გაზტექმშენს“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფელ მაწიმისა და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების დვანისა და ტახტისძირის გაზიფიცირების სამუშაოების შესრულების აქტების საფუძველზე აუნაზღაურდა 301 პირაპირის შემოწმების ღირებულება საერთო თანხით 8,158 ლარი. აუდიტის პროცესში შემოწმების ოქმები წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 42 პირაპირის შემოწმებაზე (1177 ლარი).

2013 წელს მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფლების სრული გაზიფიცირების სამუშაოებზე შპს „კომფორტმშენ XXI“-ს ფორმა N2-ით შესრულებულად ნაჩვენები აქვს 2,649 პირაპირის შემოწმება ღირებულებით 32,382 ლარი. კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა პირაპირების ულტრაბგერითი გამოკვლევის ოქმები. 2013 წლის 11 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე გაფორმებული ოქმების ავთენტურობა არ დასტურდება, ვინაიდან აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, შემსრულებელს ოქმებში მითითებული ულტრაბგერითი გამოკვლევის ხელსაწყო შესყიდული აქვს ხსენებული პერიოდის შემდგომ.

შესადუღებელი აპარატის ამონაწერებზე გაწეული ხარჯები

კომპანიის მიერ შედგენილი და ასევე მათი შეკვეთით შესრულებული გაზიფიცირების პროექტები, ფიტინგების შესადუღებელი აპარატიდან ამონაწერების გაკეთებას არ ითვალისწინებდა. რაც შეეხება კომპანიისათვის გადმოცემულ გაზიფიცირების პროექტებს, ხარჯთაღრიცხვებში ზოგ შემთხვევაში გათვალისწინებულია პოლიეთილენის მილების გამოყენებისას ფიტინგების შესადუღებელი აპარატიდან ამონაწერების მომზადების ხარჯები, რომელთა გაწევის მიზანშეწონილება ვერ დასტურდება. ამასთან ზოგ შემთხვევაში ამონაწერები წარმოდგენილიც არ არის.

კომპანიას ფიტინგების შესადუღებელი აპარატიდან 1,234 ამონაწერისთვის სულ გადახდილი აქვს 5,467 ლარი, აქედან შპს „გაზტექმშენზე“ – 4,401 ლარი (დვანისა და ტახტისძირის გაზიფიცირების სამუშაოები) და ი.მ. „გიორგი ჩიხლაძე მშენებელზე“ – 1,066 ლარი (დოღეთი - თამარაშენის გაზიფიცირების სამუშაოები). აღსანიშნავია, რომ 1,234 ამონაწერიდან აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 295 ამონაწერი.

3. საქონლისა და მომსახურების შესყიდვები

2013 წლის 3 ოქტომბერს გამოცხადდა ტენდერი თვითმცლელი ავტომანქანის, ავტოსარემონტო სახელოსნოს და ავტოამწის შესყიდვაზე სამ ლოტად. სატენდერო დოკუმენტაცია სამივე ლოტზე გაიტანა მხოლოდ შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“-მა, რომლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავდა ხარვეზს, კერძოდ, მეორე და მესამე ლოტებზე ნაცვლად სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული არანაკლებ 260 ცხ.ძ-სა, სატენდერო წინადადებაში მითითებულია 240 ცხ.ძ-ს მქონე სპეცავტოტექნიკა, რაც დაფიქსირდა სატენდერო კომისიის სხდომის ოქმითაც¹⁷, თუმცა ამას პრეტენდენტის გამარჯვებულად გამოცხადებისათვის ხელი არ შეუშლია და შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“-თან გაფორმდა ხელშეკრულება თვითმცლელის (KAMA3-4528-04), ავტოსარემონტო სახელოსნოს (IIAPM-6890-PK) და ავტოამწის (KC-55713-5) შესყიდვაზე ჯამური ღირებულებით 614,000 ლარი. აღნიშნული ტენდერის განხორციელებისას სატენდერო კომისიამ არ შეასრულა კომპანიისათვის მთავრობის განკარგულებით დამტკიცებული საქონლისა და შესყიდვების სპეციალური წესის მოთხოვნა სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ¹⁸.

- 2013 წლის 13 აგვისტოს კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე 2 ლოტად:

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის N101 დადგენილება.

¹⁷ სატენდერო კომისიის 2013 წლის 15 ოქტომბრის სხდომის ოქმი N2.

¹⁸ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 6 სექტემბრის N228 დადგენილება (მე-12 მუხლი, მე-4 პუნქტი, „დ“ ქვეპუნქტი).

- I ლოტი - 5 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანის შესყიდვა. სატენდერო წინადადება აღნიშნულ ლოტზე წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შპს „გლობალ მოტორს ჯორჯია - ჯი ემ ჯი“, რომლის წინადადება არ შეიცავდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა სატრანსპორტო საშუალებების გამოშვების წელი, საჭის მდგომარეობა, გადაცემათა კოლოფის საფეხურების რაოდენობა და სხვა. ასევე არ იყო წარმოდგენილი ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ. ყოველივე ამის მიუხედავად, კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული არ ყოფილა. სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტს მიეცა წინადადება დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის წარმოდგენის შემდეგ იგი მიწვეული იქნა ზეპირ ვაჭრობაზე, სადაც შესყიდვის ღირებულებად დადგინდა 89,000 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 5 ერთეული ავტომანქანა „ლადა 21214“ შესყიდვაზე.
- II ლოტი - 3 ერთეული მაღალი გამავლობის პიკაპის ტიპის ავტომანქანის შესყიდვა. სატენდერო წინადადება აღნიშნულ ლოტზე წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შპს „კავკასუს მოტორსმა“, მაგრამ არა თეთრი, არამედ ვერცხლისფერი ავტომანქანის მიწოდებაზე. ამასთან სატენდერო წინადადებაში არ იყო მითითებული ავტომანქანის გამოშვების წელი (მოთხოვნილი იყო 2013 წელი), რაზეც სატენდერო კომისიას ყურადღება არ გაუმახვილებია. პრეტენდენტი გამოცხადდა გამარჯვებულად და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება 3 ერთეული „Mitsubishi L-200“ მიწოდებაზე ჯამური ღირებულებით 119,394 ლარი.

- 2012 წლის 18 აგვისტოს გამოცხადდა ტენდერი სპეცტექნიკის შესყიდვაზე 2 ლოტად ბორბლებიანი და მუხლუხებიანი ექსკავატორების შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა, რომელთაგან ორი დისკვალიფიცირებული იქნა. I ლოტში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჯი თი გრუპი“, ხოლო II ლოტთან დაკავშირებით სატენდერო კომისიამ მიიჩნია, რომ დარჩენილი პრეტენდენტის შპს „ჰიდროსერვისის“ მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი აღემატებოდა კომპანიის მიერ გათვალისწინებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება კი კომპანიის მიერ შედგენილ არც ერთ დოკუმენტში დაფიქსირებული არ ყოფილა. მუხლუხებიანი ექსკავატორის შესასყიდად კომპანიას ტენდერი აღარ გამოუცხადებია და არც შესყიდვის სხვა საშუალება გამოუყენებია.

უნდა აღინიშნოს სატენდერო კომისიის არაერთგვაროვანი მიდგომა პრეტენდენტების მიერ დოკუმენტაციის არასათანადოდ წარმოდგენასთან დაკავშირებით. მაგალითად, სპეცტექნიკის შესყიდვაზე გამოცხადებულ ზემოხსენებულ ტენდერში, როგორც უკვე აღინიშნა დისკვალიფიკაცია მიეცა ორ პრეტენდენტს, შპს „ელიტ მოტორსს“ (მოწოდების ვადების შეუსაბამობისა და სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის წარმოდგენლობის გამო) და შპს „ბორუსან მაქინას“ (ანგარიშსწორების პირობების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენლობის, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის მიუთითებლობის და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის მოთხოვნილთან შეუსაბამობის გამო), მაშინ როდესაც: შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“ სპეცავტომობილების შესყიდვაზე 2013 წლის 3 ოქტომბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა სატენდერო წინადადებაში ძრავის სიმძლავრის მაჩვენებლის მოთხოვნილზე ნაკლები ოდენობით დაფიქსირების მიუხედავად; შპს „გლობალ მოტორს ჯორჯია“ 2013 წლის 13 აგვისტოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (ლოტი I) გაიმარჯვა ისეთი მაჩვენებლების დაზუსტებაზე უფლების მიცემის შემდეგ, როგორიცაა გამოშვების წელი, საჭის მდგომარეობა, გადაცემათა კოლოფის საფეხურების რაოდენობა, ცნობა საჯარო რეესტრიდან და სხვა; ამავე ტენდერში (ლოტი II) შპს „კავკასუს მოტორსმა“ გაიმარჯვა ისე, რომ სატრანსპორტო საშუალების ფერი და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა არ შეესაბამებოდა მოთხოვნილს, ხოლო სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წელი საერთოდ მითითებული არ იყო.

ავტომანქანის ჩანაცვლებით შესყიდვა

2012 წლის ივლისში კომპანიამ ჩანაცვლების წესის გამოყენებით გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინ კომპანისთან“. ხელშეკრულებით კომპანიას

მიეწოდა ახალი ავტომანქანა „ლექსუს LX-570“ ღირებულებით 175,133 ლარი (106,000 აშშ დოლარის ექვივალენტი), ხოლო კომპანიამ სანაცვლოდ გადასცა 1992 წელს გამოშვებული „მიცუბიში პაჯეროს“ მარკის ავტომანქანა, რომლის ღირებულებაც (4,850 ლარი) კომპანიის თხოვნით თავად „ქარ რენტ ენდ თრეიდინ ქომფანიმ“ დაადგინა. ფასთა სხვაობის შესავსებად (რომელიც ღირებულების 97,2%-ს შეადგენდა) ავტომანქანის გამყიდველს გადაერიცხა 170,283 ლარი.

ფასთა ასეთი თანაფარდობით ჩანაცვლება ფაქტობრივად წარმოადგენდა კომპანიის მიერ შესყიდვების სპეციალური წესით მისთვის განსაზღვრული შესყიდვის საშუალების - ფასთა კოტირებისათვის თავის არიდებას, რაც არ ემსახურება ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას. ფასთა კოტირებით შესყიდვის შემთხვევაში ფასი შეიძლება ჩანაცვლებული ავტომანქანის ღირებულებაზე ნაკლები ყოფილიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩანაცვლებით შესყიდული ხსენებული „ლექსუს LX - 570“ 2012 წლის ოქტომბერში ჩუქების სახით გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

არშემდგარი ტენდერები

სპეციალური წესის თანახმად, თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200,000 ლარს, შესყიდვა ხორციელდება ტენდერის საშუალებით, რომელსაც ატარებს კომპანიის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი სატენდერო კომისია. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის განმარტებით, აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში გამოცხადებულ რიგ ტენდერებზე საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არავის წარმოუდგენია და ტენდერები ჩაითვალა არშემდგარად, თუმცა აღნიშნულის შესახებ სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებული არ არის. მაგალითად, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების გარეშე არშემდგარად ჩაითვალა გამოცხადებული ტენდერები ტრანსპორტისა და მანქანა-დანადგარების ტექნიკური მომსახურების, გაზის ანალიზისათვის საჭირო საშუალებების, ბუნებრივი აირის სიმკვრივის მზომების, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცტექნიკის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე 2014 წელს, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების ფილტრებისა და თანმდევი მომსახურების, საბურავებისა და აკუმულატორების შესყიდვაზე 2013 წელს და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად შესყიდვების ჩატარებისას, სტატუსი „ტენდერი არ შედგა“ ტენდერს ენიჭება მხოლოდ სატენდერო კომისიის სხდომის შესაბამისი ოქმის სისტემაში ატვირთვის შემდეგ¹⁹, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს არ შემდგარ ტენდერებთან დაკავშირებთ სატენდერო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების აუცილებლობაზე.

რეკომენდაცია N3

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალურ წესში ცვლილების შეტანა, რომელიც დაადგენს „ტენდერი არ შედგა“ სტატუსის ტენდერისათვის მინიჭების პირობებს, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების კომისიური წესით მიღებას და გამჭვირვალობას ტენდერისათვის სტატუსის მინიჭებისას.

¹⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ს“ პუნქტი.

4. შემოსავლები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია 2012, 2013 და 2014 წლებში მიღებული შემოსავლები:

შემოსავლის სახე	2012	2013	2014
ტრანზიტის საფასურად დატოვებული გაზი	87,902,249	88,349,872	99,111,700
შემოსავალი გაზის ტრანსპორტირებიდან	23,775,710	23,960,345	27,253,604
შემოსავალი ბუნებრივი გაზის მიწოდებიდან	51,514,860	33,918,172	49,252,553
შემოსავალი მომსახურებიდან	390,101	473,854	674,283
სხვა შემოსავლები	964,821	380,305	1,359,031
საოპერაციო შემოსავლები	164,547,741	147,082,548	177,651,171
შემოსავალი კურსთშორისი სხვაობიდან	51,567	951,740	646,915
საპროცენტო შემოსავლები	2,318,397	2,273,430	1,547,897
შემოსავალი საექვო ვალებიდან	27,277	-	-
საურავი	199,937	87,268	140,743
ბუნებრივი გაზის ზედმეტობა	16,147,621	4,762,240	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	46,697	547,451	152,983
არასაოპერაციო შემოსავლები	18,791,496	8,622,129	2,488,538
სულ შემოსავლები	183,339,237	155,704,677	180,139,709

ტარიფები

კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს გაზის ტრანსპორტირების მომსახურებიდან და გაზის ტრანზიტად გატარების საფასურად დატოვებული გაზის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. გაზის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის დროს კომპანია იყენებს სემეკის და მთავრობის დადგენილებებით განსაზღვრულ ტარიფებს. ასევე, კომპანია შემოსავლებს იღებს მომხმარებელთა ბალანსზე არსებული გაზის გამანაწილებელი სადგურების (გგს) მომსახურებიდან, გაზსადენზე ახალი მომხმარებლების მიერთებიდან, ფიზიკო-ქიმიური ანალიზების ჩატარებიდან და სხვა, რომელთა ღირებულებასაც იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს დამოუკიდებლად.

გაზის ტრანსპორტირებისას კომპანია ხელმძღვანელობს სემეკ-ის 2005 წლის 30 დეკემბრის N30 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფებით, 2012-2014 წლებში ჯამურმა შემოსავლებმა გაზის ტრანსპორტირებიდან შეადგინა 74,990 ათასი ლარი:

დასახელება	ტარიფი	2012		2013		2014	
		ათასი მ³	ათ. ლარი	ათასი მ³	ათ. ლარი	ათასი მ³	ათ. ლარი
თბოსადგურები, "ყაზბეგიაზი"	9.00	712,626	6,414	514,090	4,627	583,969	5,256
სს "დუშეთიგაზი"	11.67	2,563	30	3,191	37	4,125	48
სხვა დანარჩენი მომხმარებელი	13.83	1,253,208	17,332	1,395,252	19,296	1,587,114	21,950
სულ		1,968,397	23,776	1,912,533	23,960	2,175,208	27,254

კომპანიის მიერ ტრანსპორტირებისათვის გაზის მიღება ძირითადად სამი წყაროდან ხორციელდება: რუსეთის ფედერაციიდან, სამხრეთ-კავკასიური მილსადენიდან და აზერბაიჯანიდან. 2012, 2013 და 2014 წლებში მიღებულმა გაზის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 12,018,980 ათასი მ³, ხოლო ტრანსპორტირებულმა და რეალიზებულმა - 12,043,527 ათასი მ³.

ცხრილში მონაცემები ნაჩვენებია ათას მ³-ში:

წელი	2012	2013	2014
ნაშთი წლის დასაწყისში	12,085	11,703	12,696
მიღება	3,900,264	3,863,352	4,255,365
გაცემა	3,936,399	3,868,751	4,238,377
საკუთარი მოხმარება	102	104	103
ნაშთი წლის ბოლოს	11,703	12,696	12,611
დანაკარგი/ზედმეტობა +/-	(35,855)	(6,496)	16,970
%-ული დანაკარგი	-0.92%	-0.17%	0.40%
დანაკარგის ნორმა ²⁰	5.07%	5.07%	5.07%

როგორც ცხრილიდან ჩანს, გაზის დანაკარგები ნორმის ფარგლებშია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნორმები დადგენილია დაახლოებით 20 წლის წინ.

2012-2013 წლებში კორპორაციისათვის გაზი მიწოდებულია ტრანზიტის საფასურად დატოვებულზე მეტი მოცულობით, რასაც კომპანიის ხელმძღვანელობა სისტემაში ჭარბი გაზის წარმოშობით ხსნის. ამავე წლებში გაზის შესაძლო დანაკარგი, ხსენებული ჭარბი გაზით არის გადაფარული, რის გამოც მისი ოდენობა აღნიშნულ პერიოდში ცნობილი არ არის.

კომერციული დეპარტამენტის უფროსის განმარტების თანახმად, ჭარბი გაზის წარმოშობის მიზეზები შესაძლოა ყოფილიყო: საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენის შემომსვლელ წერტილებში, გაზის მომწოდებელი ქვეყნების ტერიტორიაზე დამონტაჟებული აღმრიცხველი ხელსაწყოების ცდომილობით, მილსადენზე დამონტაჟებული იმ ხელსაწყოების დასაშვები ცდომილებით, რომელიც გამოიყენება მაგისტრალში არსებული გაზის ოდენობის განსაზღვრისთვის და აღრიცხვის იმ ხელსაწყოების დასაშვები ცდომილებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება შიდა მომხმარებლებისთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის აღრიცხვა. მიღებული განმარტებით ჭარბი გაზი, ეს არის გაზის ის მოცულობა რომლის აღრიცხვაც ვერ შეძლეს ვერც კომერციულმა და ვერც საკონტროლო მრიცხველებმა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიღების წერტილებში არსებული საკონტროლო მრიცხველების ჩვენებები ნაკლებია მომწოდებელი მხარის კომერციული მრიცხველების ჩვენებებზე.

შესაბამისად ჭარბი გაზის არსებობა დასტურდება მხოლოდ მიღებული და ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის ბალანსში, სადაც ჭარბი გაზი წარმოადგენს დისბალანსს მიღებულ და გადაცემულ გაზს შორის და შეუძლებელია იმის განსაზღვრა თუ კონკრეტულად რომელი აღრიცხვის კვანძის ცდომილების ხარჯზე გაჩნდა იგი.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ ტრანსპორტირებისათვის მიღებული გაზის მოცულობის აღრიცხვა ხორციელდება მომწოდებელი ქვეყნების ტერიტორიაზე მდებარე კომერციული მრიცხველების საფუძველზე და მხედველობაში არ მიიღება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საკონტროლო მრიცხველების ჩვენებები. 2012-2013 წლებში გამოვლინდა 10 შემთხვევა, როდესაც ხრამის აღრიცხვის კვანძზე არსებული საკონტროლო მრიცხველის ჩვენება საერთოდ არ არის დაფიქსირებული. კომერციული დეპარტამენტის უფროსის განმარტებით აღურიცხაობა გამოწვეულია აღრიცხვის კვანძებზე წარმოებული სამუშაოების გაჭიანურებით და დღეის მდგომარეობით ყველა სასაზღვრო - საკონტროლო მრიცხველი მწყობრშია მოყვანილი, მაგრამ კომპანიის პარტნიორების მხრიდან არ არის დაფიქსირებული თანხმობა აღნიშნული მრიცხველების საკონტროლო ხელსაწყოებად აღიარების თაობაზე, რაც აუცილებელი პირობაა სადავო შემთხვევების დროს საკონტროლო მრიცხველის მაჩვენებლის მხედველობაში მისაღებად. შექმნილი მდგომარეობა ზრდის კომპანიის მიერ ფაქტობრივად მიღებული გაზის სწორად აღრიცხვასთან დაკავშირებულ რისკს.

გაზის ნიმუშების აღება

2012-2014 წლებში ლაბორატორიული ანალიზისათვის მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის ნიმუშების ყოველდღიურად აღება და კომპანიის სათავო ოფისში ტრანსპორტირება ხორციელდებოდა

²⁰ სემეკის მიერ კომპანიისთვის დამტკიცებული ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგი წერილი N1/05-4/20-11/13 20.11.2008

ავტომატურად „ნივა 21214“. აღნიშნული ავტომატურად არ არის აღჭურვილი GPS სისტემით. ეს ზრდის იმის რისკს, რომ სინჯები არ იქნას აღებული ყველა დადგენილი ადგილიდან (12 ადგილი), რაც თავის მხრივ აისახება გაზის სიმკვრივის გაანგარიშებასა და აქედან გამომდინარე მიღებული გაზის მოცულობის მაჩვენებლების სისწორეზე.

რეკომენდაცია N4

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ აღნიშნული ავტომატურად აღჭურვის GPS სისტემით, რათა დადასტურდეს გაზის სინჯების აღება ყველა განსაზღვრული ადგილიდან, რაც თავის მხრივ აისახება გაზის სიმკვრივის გაანგარიშებასა და აქედან გამომდინარე მიღებული გაზის მოცულობის მაჩვენებლების სისწორეზე. კომპანიისგან 2016 წლის 26 იანვარს მიღებული განმარტებით, დაწყებულია სატრანსპორტო პარკის GPS სისტემით აღჭურვა.

5. ხარჯები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია 2012-2014 წლებში გაწეული ხარჯები:

ხარჯები	2012	2013	2014
საოპერაციო ხარჯები	3,031,955	4,826,920	11,231,848
რეალიზებული საქონლის ღირებულება	105,314,958	80,723,859	119,070,790
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	47,295,598	50,107,657	59,257,720
სულ	155,642,511	135,658,436	189,560,358

შრომის ანაზღაურების ხარჯები

2012-2014 წლებში კომპანიას შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული აქვს 18,074,542 ლარის ხარჯი. 2013 წელს შრომის ანაზღაურების ხარჯების ზრდამ შეადგენს 5%, ხოლო 2014 წელს - 13%.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2012-2014 წლებში დარიცხული ხელფასის ოდენობები:

წელი	ხელფასი	კაპიტალიზირებული	სულ	მენეჯმენტი	%
2012	4,597,953	-	4,597,953	758,370	16%
2013	4,617,203	338,776	4,955,979	941,101	19%
2014	5,265,965	164,329	5,430,294	1,095,434	20%
სულ	14,481,121	503,105	14,984,226	2,794,905	19%

საშვებულებო ანაზღაურება

კომპანიაში მომუშავეთა ფიქსირებული ხელფასის ცვლილებისას, მათი საშვებულებო თანხის გაანგარიშების საფუძველად, ნაცვლად მიმდინარე ხელფასის ოდენობისა, გამოიყენებოდა ცვლილებამდე არსებული ხელფასი, რაც არ შეესაბამება შრომის კოდექსის მოთხოვნებს²¹ და გავლენას ახდენს დაქირავებულისათვის გასაცემ საშვებულებო ანაზღაურებაზე.

პრემია

2012-2014 წლებში პრემიის სახით გაცემულია 2,738,669 ლარი, აქედან მენეჯმენტზე - 710,358 ლარი.

წელი	პრემია	მენეჯმენტი	%
2012	823,018	177,360	22%
2013	839,652	230,235	27%
2014	1,075,999	302,763	28%
სულ	2,738,669	710,358	

²¹ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 26 (საშვებულებო ანაზღაურება).

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის შენახვის ხარჯები

კომპანია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისთვის იყენებს ბენზინს, დიზელის საწვავსა და დაწნეხილ გაზს. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2012-2014 წლებში საწვავის ხარჯების შესახებ:

	2012	2013	2014
ბენზინი	270,749	205,289	224,383
დიზელი	663,197	410,464	433,685
დაწნეხილი გაზი	12,031	9,034	3,795
სულ	945,977	624,787	661,863

კომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცტექნიკის საწვავის ხარჯვის ნორმები დადგენილია ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით.

კომპანიაში ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისთვის გახარჯული საწვავის აღსარიცხავად გამოიყენება საგზურის ფურცლები, რომლებშიც სხვა მაჩვენებლებთან ერთად მიეთითება ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და სპეცტექნიკის როგორც დღიური გარბენი, ასევე დღის განმავლობაში ნამუშევარი მანქანა/საათების რაოდენობა. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციაზე გაწეული საწვავის ხარჯების შესწავლისას გამოვლინდა რიგი შეუსაბამოებისა:

საგზურის ფურცლებში დანიშნულების პუნქტებს შორის სატრანსპორტო საშუალებების მიერ გარბენილად დაფიქსირებულია არარეალური მანძილები. სხვაობა საგზურის ფურცლებში დაფიქსირებულ და რეალურ მანძილებს შორის რიგ შემთხვევებში 300 კმ-ს აღემატებოდა. კომპანიაში განმარტავენ, რომ აღნიშნული სხვაობები გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ სატრანსპორტო საშუალებებს უწევდათ გაზიფიცირების სამუშაოების ჩატარების ადგილებზე, ასევე გაზგამანაწილებელ და კათოდური დაცვის სადგურებზე მისვლა, რომლებიც დაშორებულია საგზურებში დაფიქსირებულ დასახლებულ პუნქტებიდან. გარდა ამისა, მათივე განმარტებით ადგილი ჰქონდა საგზურის ფურცლების არასწორად შევსების ფაქტებსაც.

ცალკე უნდა აღინიშნოს უნაგირა საწვავრას „მანი TGS“ (VDV-220) მიერ საგზურის ფურცლებში გარბენილად დაფიქსირებული მანძილები. აღნიშნული ავტომანქანით ხდება სპეცტექნიკის გადაყვანა დისლოკაციის ადგილიდან სამუშაოთა შესრულების ადგილამდე და პირიქით. საგზურის ფურცლის თანახმად²² 2013 წლის 10 სექტემბერს მან გაიარა 935 კმ (საგურამო-ურეკი-გურიანთა-ურეკი-საგურამო-ურეკი), ერთი მძღოლის პირობებში. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მას წინა დღეს (9 სექტემბერს) გარბენილად დაფიქსირებული აქვს 714 კმ (საგურამო-ლილო-ურეკი-საგურამო), ხოლო მომდევნო დღეს (11 სექტემბერი) – 670 კმ (ურეკი-თბილისი-საგურამო-ურეკი). ამავე ავტომანქანას: 2012 წლის 9 ივლისიდან 11 ივლისის ჩათვლით გარბენილი აქვს 1,805 კმ (დღეში 600 კმ-ზე მეტი), ხოლო 28 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით - 2,022 კმ (დღეში საშუალოდ 674 კმ), აქედან 28 ივლისს - 830კმ (საგურამო-გურჯაანი-თერჯოლა-ხარაგაული-საგურამო)²³; 2012 წლის 21 აგვისტოს მის მიერ გავლილად ნაჩვენებია 763 კმ (საგურამო-გურჯაანი-ტყიბული-საგურამო), 24 აგვისტოს - 727 კმ (საგურამო-გაჩიანი-საგურამო-ლილო-ტყიბული-საგურამო), 19 აგვისტოს - 680 კმ (საგურამო-გურჯაანი-ტყიბული-ზესტაფონი)²⁴. 2014 წლის 10 ივნისს - 870 კმ (საგურამო-ზუგდიდი-კოკი-ხონი-კოკი-საგურამო). იმის გათვალისწინებით, რომ სპეცტექნიკის გადატანისას აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების სიჩქარე მნიშვნელოვნად შეზღუდულია, მძღოლს ზემოთ დაფიქსირებული რეისების შესრულებისას დასვენების დრო არ ჰქონდა, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა ავტოსაგზაო შემთხვევების რისკებს.

²² 2013 წლის სექტემბრის საგზურის ფურცელი N44.

²³ 2012 წლის ივლისის საგზურის ფურცელი N43.

²⁴ 2012 წლის აგვისტოს საგზურის ფურცელი N43.

6. უსასყიდლო უზუფრუქტი

2012 წლის 27 მარტს კომპანიამ იუსტიციისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს მიმართა თხოვნით²⁵, ქ. თბილისში, სანაპიროს ქუჩის N2-ში მიმდინარე იუსტიციის სახლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ მიღებული ფართიდან 625,32 მ² არასაცხოვრებელი ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში 20 წლის ვადით გადმოცემის შესახებ, რაზედაც იმავე დღეს აღნიშნული სამინისტროებიდან მიღებული იქნა თანხმობა²⁶ იმ პირობით, რომ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში კომპანია უზრუნველყოფდა სსიპ - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ანგარიშზე 2,000,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადარიცხვას. ამავე დღეს არის კომპანიაში ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან მიღებული თანხმობა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე. აღნიშნულ საკითხზე მთავრობის განკარგულება²⁷ დათარიღებულია 2012 წლის 28 მარტით. მთავრობის განკარგულებაში დაფიქსირებული პირობებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კომპანიას შორის ხელშეკრულება გაფორმებული იქნა 2012 წლის 6 აპრილს, ხოლო 2,000,000 აშშ დოლარის ექვივალენტი 3,278,000 ლარი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ანგარიშზე ჩაირიცხა 2012 წლის 12 აპრილს.

2012 წლის 14 მაისს და 17 მაისს კომპანიამ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების²⁸ და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების²⁹ სამინისტროებს მიმართა თხოვნით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ჩატარების გარეშე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 20 წლის ვადით კომპანიისათვის გადაეცა ქალაქებში ახალციხეში, გურჯაანში, გორში და ოზურგეთში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა - ნაგებობების ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ მიღებული ფართიდან შესაბამისად 215,15მ², 368,12მ², 256,6მ² და 242,7მ² არასაცხოვრებელი ფართობი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთები. ამავე წერილით კომპანია გამოთქვამდა მზადყოფნას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სსიპ - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ანგარიშზე გადაერიცხა 2,164,880 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი. თანხმობის წერილები ხსენებული სამინისტროებიდან მიღებულია 17 მაისს, ხოლო მთავრობის განკარგულება გამოცემულია 2012 წლის 24 მაისს³⁰, რომლის პირობების შესაბამისად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კომპანიას შორის 2012 წლის 31 მაისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე 2012 წლის 8 ივნისს 1,655,370 ლარი გადაერიცხა - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, ხოლო 1,875,765 ლარი - იუსტიციის სასწავლო ცენტრს.

2012 წლის 3 აგვისტოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ კომპანიას აცნობა³¹ 2012 წლის 6 აპრილისა და 2012 წლის 31 მაისის ხელშეკრულებებით წარმოშობილი უზუფრუქტის უფლებების შეწყვეტის შესახებ, ხოლო ეკონომიკის სამინისტრომ 2012 წლის 22 აგვისტოს გამოსცა შესაბამისი ბრძანებები³². ამრიგად, კომპანიისთვის არც ზემოხსენებული ფართები გადაუციათ და არც უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებების საფუძველზე გადარიცხული თანხები დაუბრუნებიათ. შედეგად კომპანიამ ვერ შეძლო გაზიფიცირების პროექტების განსახორციელებლად

²⁵ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ 2012 წლის 27 მარტის N 1/02/27-03/3 და N 1/02/27-03/4 წერილები.

²⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2012 წლის 27 მარტის N13400 წერილი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 27 მარტის N 06/6926 წერილი.

²⁷ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 მარტის N550 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

²⁸ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ 2012 წლის 14 მაისის N 1/02/14-05/3 წერილი.

²⁹ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ 2012 წლის 17 მაისის N 1/02/17-05/2 წერილი.

³⁰ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის N996 განკარგულება „შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

³¹ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2012 წლის 3 აგვისტოს N02/1455 წერილი.

³² საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს N1-1/1687 ბრძანება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს N1-1/1688 ბრძანება;

ან მაგისტრალური გაზსადენის ექსპლუატაციის საჭიროებებისათვის გამოყენებინა 6,809,135 ლარის საკუთარი საბრუნავი საშუალებები.

7. წლიური შედეგების გამოყენება და ანგარიშგება

საქართველოს მთავრობის დადგენილებიდან³³ გამომდინარე, წმინდა მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღო კომისიას, რომელიც ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით მთავრობის ამავე დადგენილებით შეიქმნა. აღნიშნულ კომისიას კომპანიის წმინდა მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული აქვს მხოლოდ ერთხელ, 2013 წლის 22 ივლისის სხდომაზე (ოქმი N1), რომლის თანახმად კომპანიის 2011-2012 წლების 27,604,000 ლარი წმინდა მოგებიდან - 9,000,000 ლარი დარჩა კომპანიის განკარგულებაში გაზიფიცირების მიზნით ახალი პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო დანარჩენი 18,604,000 ლარი მიმართულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით.

კომპანიას 2012 – 2014 წლების წლიური ანგარიშები დამფუძნებლის მიმართ წარდგენილი აქვს მოქმედი კანონმდებლობით³⁴ დადგენილი ვადების დარღვევით, რაც ფინანსური დეპარტამენტის უფროსის სიტყვიერი განმარტებით გამოწვეულია იმით, რომ პარტნიორის მიერ წლიურ ანგარიშთან ერთად მოითხოვება შესაბამისი აუდიტორული დასკვნის წარდგენაც, რაც პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილ ვადებში ვერ ხერხდება.

კომპანიის წესდების თანახმად³⁵, კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანო - პარტნიორთა კრება უნდა ამტკიცებდეს კომპანიის წლიურ შედეგებსა და წლიურ ბალანსს, იღებდეს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების გამოყენების შესახებ. პარტნიორთა კრების ოქმები, ასევე განსახილველ საკითხებზე პარტნიორის წერილობითი თანხმობები (რომლებიც კრების ოქმის ტოლფასია), წარმოდგენილი ვერ იქნა. შესაბამისად ვერ იქნა წარმოდგენილი დამტკიცებული წლიური შედეგები, წლიური ბალანსი და პარტნიორის გადაწყვეტილება წლიური შედეგების გამოყენების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერები:


კორნელი გაბლიშვილი (ჯგუფის უფროსი)

შორენა თირქია

ანა ბახტაძე

ალექსანდრე მღებრიშვილი

გიორგი ხითარიშვილი



³³ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის N174 დადგენილება.

³⁴ საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების N71 და N72 მუხლები.

³⁵ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 21 მარტის N92 ბრძანება.